

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №30

დ. ლენტეხი.

13.07.2010წ.

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2007 წლის 20 მაისის №24 – განკარგულებაში ლენტეხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ეკონომიკური საქმიანობისათვის გამოყენებულ ქონებაზე და ფიზიკური პირების საკუთრებაში რიცხულ უძრავ ქონებაზე წლიური გადასახადების განაკვეთების განსაზღვრის შესახებ. ცვლილებების შეტანის შესახებ

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

1. შეტანილი იქნას ცვლილებები ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2007 წლის 20 – მაისის №24 განკარგულების I – პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებში და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
 - ა) 100,000 ლარამდე შემოსავლის მქონე ოჯახებისათვის საგადასახადო პერიოდი განისაზღვროს დასაბეგრი ქონების საბაზრო ღირებულების არანაკლებ 0,05 პროცენტისა და არა უმეტეს 0,2 – პროცენტისა.
 - ბ) 100,000 ლარისა და მეტი შემოსავლის მქონე ოჯახებისათვის საგადასახადო პერიოდია ბოლოსათვის დასაბეგრი ქონების საბაზრო ღირებულების არანაკლებ 0,8 – პროცენტისა და არაუმეტეს 1 – პროცენტისა.
2. განკარგულების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს საფინანსო საბიუჯეტო და სარევიზიო კომისიის თავმჯდომარეს ე. გველებიანს.
3. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარე:

/ვ. ქურასბედიანი